

სილქნეტის და ჯეოსელის ერთობლივი აქცია "სილქ + "

დანართი N---

ქ. _____

_____ 2018 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- აქციის დასახელება: "სილქნეტის და ჯეოსელის ერთობლივი აქცია "სილქ + "
- აქციის პირობები:

1. სილქნეტის და ჯეოსელის ერთობლივი აქციის ფარგლებში, სილქნეტის სპეციალური ფასის მქონდე ოპტიკური ორმაგი შეთავაზების (ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებების) აბონენტი შეძლებს დარეგისტრირდეს აქციაზე "სილქ + " და ამ აქციის ფარგლებში, მის მიერ მითითებული ჯეოსელის ნომრებზე მიიღოს ჯეოსელის მობილური სატელეფონო მომსახურების პაკეტი სპეციალურ ფასად; ჯეოსელის პაკეტის ღირებულება დაირიცხება სილქნეტის სააბონენტო ანგარიშზე "სილქ +" აქციის ფარგლებში.
2. აქციის მოქმედების პერიოდი - 1 წელი, ყოველი მომდევნო ერთ წლიანი გაგრძელებით, სანამ კომპანია არ შეწყვეტს აქციის მოქმედებას. სამისოდ დადგინილი წესით.
3. **აქციის პირობები ვრცელდება :** სილქნეტის სპეციალური ფასდაკლების მქონე ორმაგი შეთავაზების (ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების) ფიზიკურ პირ აბონენტებზე. სილქნეტის სააბონენტო ანგარიშის მფლობელ აბონენტს უფლება აქვს "სილქ + " აქციაში ჩართოს ჯეოსელის ფიზიკური პირი აბონენტები.
4. **აქციაში მონაწილე პაკეტები:**
 - 4.1. აქციაში მონაწილეობს ჯეოსელის პაკეტები: "მეტი M", "მეტი ულიმიტო" და "მეტი ულიმიტო +";
 - 4.2. აქციაში მონაწილეობს სილქნეტის პაკეტები: ოპტიკურ ინტერნეტ პაკეტები: "სტარტ +", "სუპერ დრაივი" და სატელევიზიო მომსახურების პაკეტები: "ეკონომი", "კომფორტი", "პრემიუმი" და "პრემიუმ +";
5. **აქციაზე რეგისტრაციის პირობები:**
 - 5.1. სილქნეტის აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე არსებული მომსახურებები აქციაზე რეგისტრაციისას უნდა იყოს აქტიური (მათ შორის, მომსახურებები არ უნდა იყოს დროებით შეჩერებული);
 - 5.2. ჯეოსელის მომსახურების გააქტიურებისას მოხდება სილქნეტის მომსახურებების დავალიანების ლიმიტის შემოწმება. თუ ჯეოსელის პაკეტის აქციის ფარგლებში განსაზღვრული დასარიცხი თანხა აღემატება ლიმიტის დარჩენილ ოდენობას, ჯეოსელის პაკეტი არ გააქტიურდება;
 - 5.3. აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც უკვე სარგებლობს სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალურ ფასის მქონე) მომსახურებით, აქციაზე დარეგისტრირებას შეძლებს სილქნეტის/ჯეოსელის სერვის ცენტრში პირადად მისვლით, სილქნეტის ცხელ ხაზზე დარეკვით, სილქნეტის ონლაინ პორტალის საშუალებით "სილქ +" აქციაზე რეგისტრაციის გავლით; აქციის სილქ + გააქტიურება ხდება მოთხოვნის მიღებისთანავე;
 - 5.4. თუ აქციაში ჩართვის მსურველი პირი არ სარგებლობს სილქნეტის ინტერნეტ ან/და სატელევიზიო მომსახურებით, აქციაში ჩართვის მიზნით, პირველ რიგში, უნდა გაიაროს რეგისტრაცია სილქნეტის აღნიშნულ მომსახურებებზე, ხოლო შემდგომ გაიაროს რეგისტრაცია სილქ + აქციაში ჩართვაზე და მიუთითოს სასურველი ჯეოსელის ნომერი/ნომრები და სააბონენტო პაკეტი, რომელთა აქციაში ჩართვაც სურს; შედეგად, სილქნეტის მომსახურებების ინსტალაციის დასრულებისთანავე, მოხდება აქციის გააქტიურება / ჯეოსელის ნომრების აქციაში ჩართვა; აღნიშნულ მოთხოვნებს აქციაში ჩართვის მსურველი პირი აფიქსირებს სილქნეტის/ჯეოსელის სერვის ცენტრში მისვლით ან სილქნეტის ცხელ ხაზზე დარეკვით;
 - 5.5. აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალურ ფასად) მომსახურებით, სილქ+ აქციაში ჩაერთვება აქციაზე დარეგისტრირებისთანავე (მის მიერ მითითებულ ჯეოსელის ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩული ჯეოსელის სააბონენტო პაკეტი/ები სპეციალურ (აქციით შეთავაზებულ) ფასად;

5.6. აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის მომსახურებებით, მაგრამ არა აქვს გააქტიურებული სილქნეტის ორმაგი შეთავაზება (სპეციალურ ფასად), სილქ+ აქციაში ჩაერთვება სილქნეტის ორმაგ შეთავაზებაში (სპეციალურ ფასის მქონე) ჩართვისა და აქციაზე დარეგისტრირებისთანავე (მის მიერ მითითებულ ჯეოსელის ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩეული ჯეოსელის სააბონენტო პაკეტი/ები სპეციალურ (აქციით შეთავაზებულ) ფასად;

5.7. აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის მომსახურებებით, მაგრამ არა აქვს გააქტიურებული სილქნეტის ორმაგი შეთავაზება (სპეციალურ ფასად), სილქ+ აქციაში ჩაერთვება სილქნეტის ორმაგ შეთავაზებაში (სპეციალურ ფასის მქონე) ჩართვისა და აქციაზე დარეგისტრირებისთანავე (მის მიერ მითითებულ ჯეოსელის ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩეული ჯეოსელის სააბონენტო პაკეტი/ები სპეციალურ (აქციით შეთავაზებულ) ფასად;

5.8. აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც აქციაში ჩართვამდე არ სარგებლობს სილქნეტის მომსახურებებით, აქციაში ჩაერთვება სილქნეტის ორმაგ შეთავაზებაში (სპეციალურ ფასის მქონე) რეგისტრაცია/ ჩართვის შემდგომ - სილქნეტის სააბონენტო ანგარიშის გააქტიურებისთანავე (მის მიერ მითითებულ ჯეოსელის ნომრებზე გაუაქტიურდება მის მიერ შერჩეული ჯეოსელის სააბონენტო პაკეტი/ები), თუ პროდუქტის აღწერაში გათვალისწინებული რომელიმე შეზღუდვა არ ფიქსირდება სილქნეტის ან ჯეოსელის მომსახურებაზე;

5.9. შეზღუდულია აქციაში ჩართვა/გათიშვა/ჯეოსელის ნომრის/პაკეტის ცვლილება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს 23:00 დან 00:00 ჩათვლით.

6. აქციის პირობები:

6.1. აქციით, სილქნეტის ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში, სილქნეტის ანგარიშის მფლობელის მიერ შესაძლებელია არაუმეტეს 5 ჯეოსელის ნომრის ჩართვა. აქციით განსაზღვრული სპეციალური ფასის ფარგლებში სილქნეტის აბონენტმა უნდა ჩართოს მინიმუმ ერთი ჯეოსელის ნომერი და ჯეოსელის მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურების აქციით განსაზღვრულ ჯეოსელის ერთ-ერთი პაკეტი;

6.2. აქციის ნებისმიერ "სილქ+" პაკეტის (გარდა აქციის პაკეტისა "სილქ +" - 119 ლარი) არჩევისას, აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ფიქსირებული ღირებულების ფარგლებში ჩართული ჯეოსელის ნომრები არ უნდა აღემატებოდეს 2-ს; ამასთან, აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ფიქსირებული ღირებულების ფარგლებში შემავალი ნომრების ზემოთ, ყოველ დამატებით ნომერზე (რომლებსაც აგრეთვე დაერიცხება აქციით განსაზღვრული ტარიფი, რა დროსაც აქციაში მონაწილე ნომრების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს) სილქნეტის აბონენტს შეუძლია გაიაქტიუროს აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის სხვადასხვა პაკეტი; ასეთი ნომრების ღირებულება არ შედის აქციის პაკეტის "სილქ+" ფიქსირებულ ღირებულებაში.

6.3. აქციის პაკეტი "სილქ +" - 119 ლარად არჩევის შემთხვევაში, სილქნეტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე, "სილქ+" პაკეტის ფიქსირებული ღირებულების ფარგლებში, ანგარიშის მფლობელის მიერ შესაძლებელია არაუმეტეს 5 ნომრის ჩართვა; აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ჯამური ღირებულების ფარგლებში ჩართული ჯეოსელის ნომრები არ უნდა აღემატებოდეს 5 -ს;

6.4. აქციაში ჩართული ჯეოსელის პაკეტის მოქმედების ვადაა 1 კალენდარული თვე (რაც იანგარიშება ყოველ კონკრეტულ თვეში პაკეტის აქტივაციის შესაბამისი რიცხვიდან - მომდევნო თვის იმავე რიცხვის ჩართვლით პერიოდით). გამონაკლისის სახით განისაზღვროს შემდეგი შემთხვევა, როცა მიმდინარე საანგარიშო თვეს არ აქვს ის შესაბამისი რიცხვი, რომელ რიცხვშიც მოხდა პაკეტის აქტივაცია წინა კალენდარულ თვეს, პაკეტის მოქმედების ბოლო დღედ განისაზღვრება კონკრეტული პაკეტის აქტივაციის შესაბამისი თვის მომდევნო თვის ბოლო დღე. შესაბამისად, ახალი პაკეტის აქტივაცია მოხდება პაკეტის აქტივაციის თვის მომდევნო თვის ბოლო დღეს;

6.5. აქციის მოქმედების პერიოდში ჯეოსელის აბონენტს შეუძლია მის ნომერზე დამატებით შეიძინოს ჯეოსელის სხვა სერვისები სტანდარტულ ფასად, რომლის ანგარიშსწორებას აბონენტი ახდენს ჯეოსელთან.

7. აქციის გაუქმება / ხელახალი აქტივაცია:

7.1. აქციიდან ჯეოსელის ნომრის გასვლისას, აქციით მოსარგებლე პირს შეუწინაურდება სილქნეტის მომსახურების ის პაკეტები, რაც ჰქონდა ნომრის აქციიდან გასვლის მომენტში, ხოლო ჯეოსელის ნომერზე/ნომრებზე აღარ მოხდება პაკეტის მომდევნო აქტივაცია და როგორც ჯეოსელის აბონენტი, ისარგებლებს ჯეოსელის ნომერზე მოქმედი ჯეოსელის სტანდარტული ტარიფებით. აბონენტი, აქციის გაუქმებამდე გააქტიურებული ჯეოსელის მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურებას მიიღებს აქციაში ჩართული ჯეოსელის პაკეტის/ების მოქმედების ვადის დასრულებამდე.

7.2. აქციიდან გასვლა/სილქ+ შეთავაზების დაშლა კალენდარული თვის განმავლობაში არ არის შეზღუდული.

8. აქციაში ჩართვისას შეზღუდვის პირობები :

8.1. სილქნეტის აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე არსებული მომსახურებები აქციაზე რეგისტრაციისას უნდა იყოს აქტიური (მათ შორის მომსახურებები არ უნდა იყოს დროებით შეჩერებული);

8.2. როგორც პირველადად აქციაზე ჯეოსელის ნომრ(ებ)ის რეგისტრაციისას, ასევე აქციის მოქმედებისას, აქციაში ჩართულ ყველა ჯეოსელის ნომრზე, ყოველი პაკეტის აქტივაციისას მოწმდება ჯეოსელის ნომრის სტატუსი, რა დროსაც მოწმდება შესაძლებელია თუ არა ჯეოსელის ნომრზე შეთავაზებით გათვალისწინებული პაკეტის აქტივაცია; ჯეოსელის ნომრზე ნებისმიერი შეზღუდვის არსებობისას დეტალურ ინფორმაციას შეზღუდვის შესახებ, ჯეოსელის აბონენტი ინფორმაციას იღებს ჯეოსელის ცხელ ხაზზე;

8.3. ჯეოსელის ნომრის აქციაზე რეგისტრაციისას, თუ ჯეოსელის ნომრის გადამოწმებისას ნომრზე ფიქსირდება შეზღუდვები, შეიზღუდება აქციაზე რეგისტრაცია;

8.4. ჯეოსელის ნომრის გადამოწმებისას თუ ნომერი არ არის ჯეოსელის აბონენტი, ავტომატურად ხდება ნომრის აქციიდან გათიშვა, მიუხედავად იმისა, ნომერი უკვე აქციაში ჩართულია თუ აქციაში ერთვება;

8.5. აქციაში მონაწილე ჯეოსელის ნომრზე პაკეტის გააქტიურებისას, თუ ფიქსირდება გარკვეული შეზღუდვები (გარდა 8.4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა), აბონენტს არ გაუაქტიურდება ჯეოსელის პაკეტი, თუმცა არ მოხდება აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომრის აქციიდან ავტომატური გასვლა; ასეთ შემთხვევაში არ მოხდება აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის პაკეტის თანხის დარიცხვა და ჯეოსელის აბონენტს ეძლევა 5 კალენდარული დღე, რომ ჯეოსელის ნომერი გახადოს აქციასთან თავსებადი (მოიხსნას შეზღუდვა); თუ შეზღუდვა არ მოიხსნა 5 კალენდარული დღის განმავლობაში, აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომერი ავტომატურად გავა აქციიდან. შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში გააქტიურდება აქციაში მონაწილე ჯეოსელის პაკეტი და მოხდება აქციით განსაზღვრული ჯეოსელის პაკეტის ღირებულების დარიცხვა სილქნეტის ანგარიშზე;

8.6. თუ სილქნეტის მომსახურების გააქტიურებისას (ინსტალაციის დასრულებისას) აქციაში ჩასართავ ჯეოსელის ნომრზე ფიქსირდება შეზღუდვები გარდა (8.4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა), მაშინ აბონენტი ვერ ერთვება აქციაში, თუმცა ჯეოსელის აბონენტს ეძლევა 5 კალენდარული დღის ვადა რომ ნომერი გახადოს აქციასთან თავსებადი; შეზღუდვის გასწორების შემდეგ, ჯეოსელის ნომერი ჩაერთვება აქციაში (და მოხდება აქციით განსაზღვრული ჯეოსელის პაკეტის ღირებულების დარიცხვა სილქნეტის ანგარიშზე;

8.7. თუ ჯეოსელის ნომრზე პაკეტის გააქტიურებისას ან ჯეოსელის ნომრის სილქ + აქციაზე რეგისტრაციისას, ჯეოსელის პაკეტის აქტივაციისას ჯეოსელის პაკეტზე დასარიცხი თანხის ოდენობა აღემატება სილქნეტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე საანგარიშო თვის განმავლობაში გასახარჯი მაქსიმალური ჯამური თანხის (შემდგომში "დავალიანების ლიმიტის") ოდენობას (ან დავალიანების ლიმიტის გაუხარჯავ ოდენობას), არ მოხდება ჯეოსელის ნომრზე პაკეტის აქტივაცია; სილქნეტის აბონენტს ეძლევა 5 (ხუთ) კალენდარული დღის ვადა, რომ დაფაროს დავალიანების ლიმიტი და ჩაერთოს აქციაში; თუ 5 (ხუთ) კალენდარული დღის შემდეგ, სილქნეტის აბონენტი არ დაფარავს დავალიანების ლიმიტს, მოხდება ჯეოსელის ნომრის აქციიდან ავტომატური გათიშვა.

9. ჯეოსელის ერთი ნომერი სილქნეტის ერთ ანგარიშზე / ნომრის ამოღება აქციიდან:

9.1. ჯეოსელის კონკრეტული ნომერი უნდა მიეხდეს აქციისთვის გამოყოფილ სილქნეტის მხოლოდ ერთ ანგარიშის ნომერს. აქციაში ჯეოსელის ნომრის ჩართვისას, უნდა გადამოწმდეს, ხომ არ არის ეს ნომერი ჩართული აქციაში სილქნეტის სხვა ანგარიშის ფარგლებში. სილქნეტის ახალ ანგარიშზე ნომრის გადატანა უნდა მოხდეს მხოლოდ ძველი ანგარიშის ფარგლებში გააქტიურებული აქციიდან ჯეოსელის ნომრის ამოღების შემდგომ;

9.2. აქციაში ნომრის ჩართვა/ამოღება შეუძლია სილქნეტის აბონენტს სტანდარტული იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ, ნომრის მფლობელის თანხმობის გარეშე. აქციიდან ნომრის ამოღება შესაძლებელია ასევე ჯეოსელის აბონენტის მიერ ჯეოსელის ნომრიდან USSD კოდის აკრეფით: *211#;

9.3. აქციიდან ჯეოსელის ნომრის ამოღების შემთხვევაში, ჯეოსელის აბონენტი ისარგებლებს ნომრზე გააქტიურებული აქციის პირობებით - შესაბამისი პაკეტის ვადის ამოწურვამდე, ხოლო პაკეტის ვადის გასვლის შემდგომ აღარ მოხდება ჯეოსელის პაკეტის გააქტიურება სილქნეტის ანგარიშზე. თუ აქციიდან ნომრის/ების ამოღების შემდეგ სილქნეტის სააბონენტო ანგარიშზე აღარ რჩება მიზმული ჯეოსელის არც ერთი სატელეფონო ნომერი, მოხდება "სილქ +" აქციის გაუქმება და სილქნეტის ანგარიშზე აქტიურებული რჩება მხოლოდ სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალური ფასის მქონე) მომსახურება;

9.4. იმ შემთხვევაში, თუ აქციის ანგარიშზე მინიმუმ ერთ ჯეოსელის ნომრზე მაინც არ არის გააქტიურებული აქციით (სატარიფო გეგმით) გათვალისწინებული შესაბამისი ჯეოსელის სატარიფო გეგმა, მოხდება აქციის გაუქმება;

9.5. სილქნეტის მომსახურების მიღების მსურველი პირის აქციაზე რეგისტრაციის შემდეგ, სილქნეტის მომსახურებების ინსტალაციამდე პერიოდში, აქციის ფარგლებში სილქნეტის ანგარიშზე მიზმული ჯეოსელის ნომერი ვერ დარეგისტრირდება **სილქნეტის** სხვა ანგარიშის ნომრზე (იმავე აქციის ფარგლებში);

9.6. აქციაზე რეგისტრაციის **მომენტიდან** აქციაში ჩართვამდე პერიოდში შესაძლებელია ჯეოსელის ნომრის შეცვლა (ასევე არ არის შეზღუდული ამ პერიოდში ნომრის/ების შეცვლის რაოდენობა).

10. მომსახურების ღირებულების დარიცხვის და გადახდის პირობები:

10.1. აქციაში ჩართვისთანავე იწყება სილქნეტის მომსახურებების ღირებულების დარიცხვა სტანდარული წესით (რაც ჯამურად აისახება ანგარიშზე შესაბამისი მომსახურების გაწევის თვის ბოლო რიცხვში), ხოლო ჯეოსელის მომსახურების ღირებულების სრულად დარიცხვა ხდება ჯეოსელის სააბონენტო პაკეტის ყოველი აქტივაციისთანავე: ჯეოსელის ყოველი შემდეგი პაკეტის აქტივაცია მოხდება შემდეგი თვის იგივე რიცხვში, რა რიცხვშიც გააქტიურდა პაკეტი წინა თვეს;

10.2. აქციით განსაზღვრული ჯეოსელის ("მეტი M" ან "მეტი უსასრულო") პაკეტის აქტივაციისთანავე კალენდარული თვის განმავლობაში პირველ ერთ / პირველ ორ ნომერზე სილქნეტის სააბონენტო ანგარიშს ერიცხება - ჯამურად 5 ლარი / 19 ლარი (სატარიფო გეგმაში შემავალი ჯეოსელის პაკეტის ღირებულება), ხოლო ყოველი მომდევნო პაკეტის ("მეტი M" ან "მეტი უსასრულო") აქტივაციაზე სილქნეტის ანგარიშზე ირიცხება თითოეული პაკეტის ღირებულება თითოეულ აქციაში ჩართულ ჯეოსელის ნომერზე;

10.3. აქციით განსაზღვრული ჯეოსელის ("მეტი უსასრულო +") პაკეტის აქტივაციისთანავე კალენდარული თვის განმავლობაში აქციით გათვალისწინებულ ხუთ ნომერზე (მიუხედავად გააქტიურებული ნომრების რაოდენობისა ერთიდან ხუთამდე) აბონენტს ერიცხება - ჯამურად 44 ლარი (სატარიფო გეგმაში შემავალი ჯეოსელის პაკეტის ღირებულება);

10.4. დავალიანების გადაუხდელობის გამო, სილქნეტის მომსახურების შეზღუდვა არ გამოიწვევს ჯეოსელის მომსახურების შეზღუდვას; აბონენტი მიიღებს ჯეოსელის მომსახურებას ჯეოსელის პაკეტის ვადის ამოწურვამდე; თუ აბონენტს სილქნეტის მომსახურება შეზღუდული ექნება ჯეოსელის პაკეტის ავტომატური გააქტიურების თარიღისთვის, ჯეოსელის ნომერზე პაკეტის გააქტიურება აღარ მოხდება. ჯეოსელის პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება სილქნეტის დავალიანების დაფარვისთანავე, რომლის შედეგად შეიცვლება ჯეოსელის პაკეტის ავტომატური გააქტიურების თარიღი.

11. აქციაში ჩართული მომსახურებების დროებით შეჩერება:

11.1. სილქნეტის მომსახურების დროებით შეჩერებისათვის სილქნეტის აბონენტი უნდა გავიდეს აქციიდან (რა დროსაც ყველა ჯეოსელის ნომერზე გაუქმდება აქცია) და შემდეგ შეძლებს ისრაგებლოს დროებით შეჩერების მომსახურებით.

12. სილქნეტის აქციაში მონაწილე მომსახურებების ინსტალაციის პირობები:

12.1. აქციის ფარგლებში სილქნეტის მომსახურებების ინსტალაციისას მოქმედებს სილქნეტის ორმაგი შეთავაზების ინსტალაციის ტარიფები.

13. სატარიფო პირობები:

13.1. აქციაში ჩართული სილქნეტის მომსახურებების პაკეტების ცვლილება ხდება სტანდარტული წესით; თუ აბონენტი ირჩევს სილქნეტის ისეთ პაკეტს, რომელიც არ მონაწილეობს აქციაში, ავტომატურად მოხდება აქციის გაუქმება, ხოლო ჯეოსელის ნომერზე მოხდება აქციის პირობებით გააქტიურებული შესაბამისი პაკეტის შენარჩუნება მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე;

13.2. თუ სილქნეტის აბონენტი შეცვლის ჯეოსელის პაკეტს აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის სხვა პაკეტით, ჯეოსელის ახალი პაკეტის საფასური სააბონენტო ანგარიშს დაერიცხება გააქტიურების დღეს; ჯეოსელის ახალი პაკეტი გაუაქტიურდება დაუყოვნებლივ და გააქტიურების თარიღი აითვლება ჯეოსელის ახალი პაკეტის გააქტიურების თარიღიდან. ამასთან, წინა პაკეტის გაუხარჯავი სასაუბრო წუთები/სმს/მეგაბაიტები დაჯამდება ახალი პაკეტის წუთებზე/სმს-ზე/მეგაბაიტებზე;

13.3. აქციაში ჩართული "სილქ+" პაკეტის ცვლილებისას, როცა აბონენტი გადადის ისეთ "სილქ+" პაკეტზე (აქციის პაკეტის კომბინაციაზე), რომელშიც შედის არსებულ "სილქ+" პაკეტში შემავალსაგან განსხვავებული ჯეოსელის მობილური სატელეფონო ან/და სილქნეტის ინტერნეტ პაკეტები, მოხდება აქციის გაუქმება და აუცილებელი იქნება შერჩეულ "სილქ+" პაკეტზე ხელახალი რეგისტრაცია; აღნიშნულ შემთხვევაში აქციის სატარიფო გეგმის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სილქნეტის ცხელი ხაზის და სერვის ცენტრის მეშვეობით.

14. აქციაში შემავალი სააბონენტო პაკეტების / ნომრის ცვლილება / პორტირება/გაუქმება

14.1. სილქნეტის აბონენტის მხრიდან ჯეოსელის ნომრის ცვლილება ხდება ძველი ნომრის აქციიდან ამოღებით და ახლის ჩართვით. ახალ ნომერზე პაკეტის გააქტიურება მოხდება ნომრის ცვლილების და შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებისთანავე; ჯეოსელის ნომრის ცვლილება/პაკეტის ცვლილება/ნომრის შეთავაზებაში დამატება კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 5 -ს (გარდა პაკეტისა "სილქ +" - 119 ლარი);

14.2. "სილქ +" - 119 ლარიანი პაკეტის შემთხვევაში, სილქნეტის აბონენტის მხრიდან ჯეოსელის ნომრის ცვლილება ხდება ძველი ნომრის აქციიდან ამოღებით და ახლის ჩართვით. ახალ ნომერზე პაკეტის გააქტიურება მოხდება ნომრის ცვლილების და შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებისთანავე; ჯეოსელის ნომრის ცვლილება კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 1 -ს;

14.3. ჯეოსელის ნომრის გაუქმება/გადაპორტირება ხდება ჯეოსელის პროცედურების დაცვით;

14.4. აქციაში ჩართული სილქნეტის მომსახურებების გაუქმება ხდება სილქნეტის მომსახურების გაუქმების სტანდარტული პროცედურით. ამ შემთხვევაში ავტომატურად მოხდება აქციის გაუქმება, შეთავაზებიდან გასვლის პროცედურის დაცვით.

15. აქციის თავსებადობა

15.1. აქციით სარგებლობის უფლება აქვთ სილქნეტში დასაქმებულ პირებს, რომლებზეც ვრცელდება შესაბამისი (ორმაგი შეთავაზების) ფასდაკლება (ფასდაკლება გავრცელდება სტანდარტულად ორმაგ შეთავაზებაზე);

15.2. აქცია არ ვრცელდება ჯეოსელის იმ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ შეთავაზებით - "სილქნეტისა და ჯეოსელის ერთობლივი შეთავაზება პირებისთვის, რომლებიც ერთდროულად არიან ჯეოსელის და სილქნეტის აბონენტები".

16. დამატებითი პირობები

16.1. მისამართის ცვლილების დროს, თუ სილქნეტის აბონენტს სურს იგივე ჯეოსელის ნომრების რეგისტრაცია, ახალ მისამართზე სილქნეტის მომსახურებების ჩართვისთანავე მოხდება ჯეოსელის ნომრების აქტივაცია (ავტომატურად გაუქმდება ძველ მისამართზე) როგორც ახალი განაცხადის შემთხვევაში;

16.2. სილქნეტის მომსახურებების გადაფორმების შემთხვევაში მოხდება აქციის გაუქმება და ავტომატურად გააქტიურდება სილქნეტის ორმაგი შეთავაზება სილქნეტის იმ მომსახურებებზე/პაკეტებზე, რომელთა გადაფორმებაც მოხდება.

16.3. რეინსტალაციისას სილქნეტის აბონენტმა უნდა აღადგინოს სილქნეტის ოპტიკური მომსახურებები და რეინსტალაციის განაცხადის რეგისტრაციისთანავე შეუძლია მოითხოვოს ამ მომსახურებების აქციის პირობებით რეგისტრაცია.

17. აქციის სატარიფო გეგმა

სილქ + 45 ლარი (თბილისი)		
მომსახურების დასახელება	პაკეტი	ტარიფი
ინტერნეტი	20 მბ/წმ სტარტ +	40 ლარი
ტელევიზია	პაკეტი "ეკონომი"	
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"	5 ლარი
სასაუბრო დრო	უსასრულო შიდა ქსელში	
ინტერნეტი	300 მბ ინტერნეტი	
სმს	1000 სმს	
აქციით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი	
აქციით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	45 ლარი	
პაკეტში შემაჯავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება		
პაკეტი "მეტი M"	5 ლარი	
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20 ლარი	
აქციაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი	

სილქ + 53 ლარი (თბილისი)			სილქ + 32 ლარი (რეგიონი)	
მომსახურების დასახელება	პაკეტი	ტარიფი	პაკეტი	ტარიფი

ინტერნეტი	20 მბ/წმ სტარტ +	48 ლარი	20 მბ/წმ სტარტ +	27 ლარი
ტელევიზია	პაკეტი "კომფორტი"		პაკეტი "კომფორტი"	
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"	5 ლარი	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"	5 ლარი
სასაუბრო დრო	უსასრულო შიდა ქსელში		უსასრულო შიდა ქსელში	
ინტერნეტი	300 მბ ინტერნეტი		300 მბ ინტერნეტი	
სმს	1000 სმს		1000 სმს	
აქციით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი		2 ნომერი	
აქციით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	53 ლარი		32 ლარი	
პაკეტში შემაჯავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება				
პაკეტი "მეტი M"	5 ლარი		5 ლარი	
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20 ლარი		20 ლარი	
აქციაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი		5 ნომერი	

სილქ + 79 ლარი (თბილისი და რეგიონები)

მომსახურების დასახელება	პაკეტი	ტარიფი
ინტერნეტი	20 მბ/წმ სტარტ +	60 ლარი
ტელევიზია	პაკეტი "პრემიუმი"	
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი უსასრულო"	19 ლარი
სასაუბრო დრო	ულიმიტო ზარი ყველა ოპერატორთან	
ინტერნეტი	1 GB ინტერნეტი	
სმს	ულიმიტო	
აქციით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი	
აქციით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	79 ლარი	

პაკეტში შემავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "მეტი M"	5 ლარი
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20 ლარი
აქციაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი

სილქ + 119 ლარი (თბილისი და რეგიონები)		
მომსახურების დასახელება	პაკეტი	ტარიფი
ინტერნეტი	50 მბ/წმ სუპერდრავი	75 ლარი
ტელევიზია	პაკეტი "პრემიუმი" +	
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 5 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი უსასრულო +"	44 ლარი
სასაუბრო დრო	ულიმიტო ზარი ყველა ოპერატორთან	
ინტერნეტი	5 GB ინტერნეტი	
სმს	ულიმიტო	
აქციით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	5 ნომერი	
აქციით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ღირებულება	119 ლარი	

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____